სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №66

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 2 ოქტომბერი 2017წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი გოგიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ლაშვარდი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოს სასადილოებში (N1,N2,N3,N4,N5 სასადილოები) არსებული 15 ცალი ცეცხლმაქრის შემოწმება-შეკეთებისა და გადამუხტვის ტექნიკური მომსახურების და N6 სასადილოსთვის (მის. ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N69) 4 ახალი ცეცხლმაქრის შესყიდვა (მონტაჟით) წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 -ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. კლასიფიკატორის კოდები:
CPV 50413200 - ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
CPV 35111300 - ცეცხლმაქრები

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1019 (ერთი ათას ცხრამეტი) ლარს.
მათ შორის:

CPV50413200 - ცეცხლმაქრების ტექნიკური მომსახურება - 579 (ხუთას სამოცდა ცხრამეტი) ლარი;
CPV35111300 - ცეცხლმაქრები - 440 (ოთხასორმოცი) ლარი;

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების/საქონლის მიწოდებასთან, შეკეთებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი კვების უზრუნველყოფის პროგრამა) ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების/საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.„შემსყიდველი” შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს შემსყიდველის მოთხოვნის, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

4.2.შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ცეცხლმაქრების დემონტაჟის, შემოწმება-შეკეთების, ტრანსპორტირების და მონტაჟის ხარჯების ანაზღაურება.
4.4. შემსყიდველის მხრიდან, მოწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს ტექნიკური მენეჯერი - ჯერალდი ვარშანიძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის შემდეგი მისამართები:
1. სასადილო N1 - ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. N2
2. სასადილო N2 - ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N92
3. სასადილო N3 - ქ. ბათუმი, კიკვიძის ქ. N7 (ბენზეს დასახლება)
4. სასადილო N4 - ქ. ბათუმი დიდაჭარის 1 ჩიხი, N1 (ხელვაჩაური)
5. სასადილო N 5 - ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი მესამე შესახვევი N2 (მახინჯაური)

5.2. 4 ახალი ცეცხლმაქრის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის შემდეგი მისამართი:
სასადილო N6 - ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N69;

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი/გაწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ამ სფეროში მოქმედი სტანდარტების, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს ტექნიკური მენეჯერი - ჯერალდი ვარშანიძე.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა (მათ შორის საგარანტიო პერიოდში) ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის შემთხვევაში მიმწოდებელს დაერიცხება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.

8.2.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

9. გარანტია

9.1. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო პერიოდი შეადგენს 1 (ერთი) წელს, საგარანტიო ვადის ათვლა დაიწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების-შედგენის თარიღიდან.

9.2. შემსყიდველის მიერ ადგილზე შესაბამისი ნორმების ტემპერატურული რეჟიმის დაცვის შემთხვევაში მიმწოდებელი 1 წლის განმავლობაში პასუხისმგებელია ცეცხლმაქრების ტექნიკურად გამართულ მდომარეობაზე. გარანტიის მოქმედების ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ყველა გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა (ცეცხლმაქრის გადამუხტვა, ან/და შეკეთება) ან შეცვლა ახლით (იმ შემთხვევაში როდესაც შეკეთებას არ ექვემდებარება) შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში (სირთულის შესაბამისად) არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3. 9.2 პუნქტში მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ანმისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების შესახებ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე- 8 და მე-9 პუნქტებისა (საგარანტიო პერიოდში).

16 . მხარეთა რეკვიზიტები

`შემსყიდველი~	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ქ.ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“	შპს „ლაშვარდი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 445437705	*საიდენტიფიკაციო კოდი: 245619763*
სახაზინო კოდი:N740807519	*მიმღები ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი “*
ბანკის კოდი: TRESGE22	*ბანკის კოდი: BAGAGE22*
ფაქტიური მისამართი: ქ.ბათუმი, ლერმონტოვის ქ.N90ა	ანგარიშის № GE37BG0000000131808400
	ტელ. 599 195541
იურიდ. მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25	*მის.: :ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქ.N68*
_____	_____
დირექტორი	*დირექტორი*
ბადრი გოგიძე	*ფრიდონ მველაძე*

დანართი N1

ხარჯთაღრიცხვა

N	კლასიფიკატორის კოდი	საქონლის/მომსახურების დასახელება, მახასიათებელი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	CPV კოდი 50413200 ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანის (ოპ 4) შემოწმება-შეკეთების და გადამუხტვის მომსახურება	ცალი	6	38,00	228,00
2		ცეცხლმაქრი ფხვნილოვანის (ოპ 5) შემოწმება-შეკეთების და გადამუხტვის მომსახურება	ცალი	2	40,00	80,00
3		ცეცხლმაქრი ფხვნილოვანის (ოპ 6) შემოწმება-შეკეთების და გადამუხტვის მომსახურება	ცალი	2	43,00	86,00
4		ცეცხლმაქრი ნახშიროჟანგოვანი (ოუ 3) შემოწმება-შეკეთების და გადამუხტვის მომსახურება	ცალი	5	37,00	185,00
5	CPV კოდი 35111300 ცეცხლმაქრები	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი (ოპ 5) 5კგ	ცალი	2	100,00	200,00
6		ცეცხლმაქრი ნახშიროჟანგოვანი (ოუ 2) 2კგ	ცალი	2	120,00	240,00
			საერთო ჯამი			1019,00

ა(ა)იპ „ქ.ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“

საიდენტიფიკაციო კოდი: 445437705

დირექტორი
ბადრი გოგიძე

შპს „ლაშვარდი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 245619763

დირექტორი
ფრიდონ მგელაძე

დეფექტური აქტი

ქ. ბათუმი

02. 10. 2017

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს ტექნიკური მენეჯერი ჯერალდი ვარშანიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ **შპს „ლაშვარდი“ -ს დირექტორი ფრიდონ მგელაძე** ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ა(ა) იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისები სააგენტო“-ს სასადილოებში (N1, N2, N3, N4 და N5 სასადილოები) არსებულ ცეცხლმაქრებს აღენიშნება დაზიანებები, დაზიანებულია საკიდები და ხამუთები (დაზიანებები დაფიქსირდა ძირითადად 4 სასადილოში სარემონტო სამუშაოების შემდეგ) ცეცხლმაქრები საჭიროებს დემონტაჟს, შემოწმება-შეკეთებას, გადამუხტვას, ახალი სამონტაჟო ელემენტებით მონტაჟს, ასევე, N6 სასადილოში (მის. ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N69) უნდა დამონტაჟდეს სულ 4 ცალი ცეცხლმაქრი - 2 ცალი ფხვნილოვანი და 2 ცალი ნახშიროჟანგოვანი (სამზარეულოსთვის, არ ტოვებს კვალს გამოყენების შემდეგ), კერძოდ:

N	საქონლის/მომსახურების დასახელება, მახასიათებელი	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანის (ოპ 4) შემოწმება-შეკეთების და გადამუხტვის მომსახურება	ცალი	6
2	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანის (ოპ 5) შემოწმება-შეკეთების და გადამუხტვის მომსახურება	ცალი	2
3	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანის (ოპ 6) შემოწმება-შეკეთების და გადამუხტვის მომსახურება	ცალი	2
4	ცეცხლმაქრი ნახშიროჟანგოვანი (ოუ 3) შემოწმება-შეკეთების და გადამუხტვის მომსახურება	ცალი	5
5	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი (ოპ 5) 5კგ	ცალი	2
6	ცეცხლმაქრი ნახშიროჟანგოვანი (ოუ 2) 2კგ	ცალი	2

ჯერალდი ვარშანიძე

შპს „ლაშვარდი“-ს

დირექტორი ფრიდონ მგელაძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 2 ოქტომბერი 2017 წელი

ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს დირექტორი ბადრი გოგიძე და ტექნიკური მენეჯერი ჯერალდი ვარშანიძე ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს მიერ 2017 წლის 2 ოქტომბერს შპს „ლაშვარდი" -სთან დადებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N66 ხელშეკრულების (გამარტივებული შესყიდვა) საშუალებით 15 ცალი ცეცხლმაქრის შემოწმება-შეკეთებისა და გადამუხტვის ტექნიკური მომსახურების და 4 ახალი ცეცხლმაქრის შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორი: ბადრი გოგიძე

ტექნიკური მენეჯერი : ჯერალდი ვარშანიძე